ლექსი დაბეჭდილია «ახალილიანის» ბოლოში, ამას გარდა 1852 წ. «ცისკარში» და 1879 წ. «იუკრიაში» 5. არს სხვა და სხვა ლექსები, ერთი ამის ლექსი 1879 წ. «დროებაში» დაბეჭდა. ამ ლექსს «მდურგა» ეწოდება. 6. არს შოთა რუსთაველის და თეიმურაზის გაბასება, ლექსათ, ეს გაბასება 1878 წ. «იუკრია»-შია დაბეჭდილი. 7) არს «ანბანთ ქება». ეს დაბეჭდილია «ახალილიანში». 8) არს ლექსი «ბროლის სვეტი».

აღმართნა ბროლნი სვეტისა, რა მგემან ნასა იამა,
უფრჩქენელსა კარდსა გოკობსა, ჯარით შეედგა, შეესმა,
ორთავე დენა დაიწყეს, ბროლმა, ლაღმა და იამა,
და იტვირთა ცვარო ობოლი, სადაფის კარმა ღიამა.

ორსა ბროლისა ბურთ შუა, შიგან უფასო თვალთა,
იაგუნდის ჭაუზი არს, შიგან კარდისა წყალია,
გარშემო ჭალა ავლია, კერ დასწავს ნაპერწკალია,
და ყველა მარადან კარჯიშობს, მეფე და ჯართაც სმალია.

გსთქვი: თუ ჩემგანა მისი შეურა, არ ეგების არაოდეს,
ზღვასა ფონად, არ ძალა მიძს, კერ გადვიტევე თავსა ოდეს,
ცუდათ შერების ქვიშათ მთსრელთან, თუ ხელითა ცასა ზოჭმდეს,
და ხელს არ მისცემს ჭკრეტა მისი, უმეტრებით ვინცა რბოდეს.

მოლოდინი ვიკემ ვშინჯო, კედელნი, თუ ანუ კარნი,
ოდეს იქმნას მთვარე ვნასო, ამისრულდეს სახუგარნი,
თუ არ ვნასო, როგორ გაკსძლო, თვალთა ცრემლი ვაწანწკარნი,
და ეგრე მექმნას სატრფოს ნაცვლად, გარს ნაბადი მოსაფარნი.

9) არს ოცდა თხუთმეტი ლექსნი და იამბიკონი. ესე ყველა ერთ წიგნათ შეკრული ვნასე მე. 10) არს ასონი ორ მუსლოვანი, შაინი. 12) არს ლექსად „საქართველოს ერის ზნეობა“ ეს ვნასე ასალცისელის უფ. პ. იესოვის სელში. 13) არს ლექსად «გაბასება გაცისა სოფელთან». ეს ლექსიც ზემორე ხელთ ნაწერში ვნასე.

«წერა ვითსვის სამართველოში» ინასება ერთი ვრცელი ხელთ-ნაწერი წიგნი, სადაც შეკრებილია კერძოდ არჩილ მეფის ნაწერები.

ამ ნაწიერებთან ერთი ჰოქმის ერთი ადგილი 1885 წ. «ივერია»-ში დაბეჭდეს.

მეფე თეიმურაზ ჰირველი იყო ძე დავით მეფის და ქეთევან დედოფლისა. თეიმურაზის დაბადებას 1595 წ. მიაწერენ. თეიმურაზს კასეთში ზრდიდნენ. 1615 წ. მეფე თეიმურაზი სპარსეთში წავიდა, უეინთან. სამეფო საქმეების გამო. 1616 წ. საქართველოში დაბრუნდა და კასეთში გაიქცა. ამის შემდეგ თეიმურაზსა და უეინს შორის უთანხმოება ჩამოკარდა. თეიმურაზის ორი ვაჟი უეინთან იყვნენ მძევლათ. 1620 წ. თეიმურაზი სტამბოლს წავიდა, სულთანთან, შემწეობის სათხოვნელათ, ეს ამბები უეინმა შეიტყო და გაჯავრებულმა თეიმურაზის ორივე შვილები გამოასჯერისნა. 1623 წ. თეიმურაზი იმერეთიდან მოსული კასეთს მოვიდა. 1627 წ. თეიმურაზის დედა, ქეთევანი აწამეს, ამის შემდეგ საქართველოში დიდ ცოდვის ლული იღვრებოდა და თეიმურაზიც კერაფერ სიკეთეს ჰმადობდა. 1634 წ. ეს წავიდა იმერეთში და კასეთი კი მტერს ჩაუვარდა სელში. 1636 წ. იმერეთიდან დაბრუნდა თეიმურაზი და დუშეთს მოვიდა, საიდანაც დიდს ამბებს სედავდა საქართველოს უბედურებებში. დუშეთიდან კასეთს დაბრუნდა და 1639 წ. მთელი კასეთი დაიმორჩილა. 1640 წ. დიდოელებმა დაამარცხეს თეიმურაზი. ამის შემდეგ საქართველოში იმყოფებოდა თეიმურაზი და ცსოკრობდა. 1656 წ. რუსეთში წავიდა, რუსის კარისადმი, საქართველოს სამეფო საქმეების გამო. 1659 წ. თეიმურაზი დაბრუნდა რუსეთიდან იმერეთში. იმერეთში საშინელი ამბები იყო, ამ დროს, ყოველი სახლის შვილი ისე ჰგლეჯავდა თვის ქვეყნის შვილებს, როგორც მკელი ცხვარს. ამის გამო თეიმურაზი ძალე დაბრუნდა და 1661 წ. თფილისში მოვიდა. ამის შემდეგ ბერათ შეიმოსა და 1662 წ. სპარსეთში წავიდა, უეინის წინაშე, სამეფო საქმეების გამო, 1665 წ. სპარსეთში მყოფი და ბერათ შემოსილი თეიმურაზი ქ. ასტრახანში მიიწვალა. უეინის ნებართვით თეიმურაზის გვამი საქართველოში მოასვენეს და 1665 წ. ალავერდის ეკლესიაში დასაფლავეს.

თეიმურაზ მეფე ქართულ მწერლობაშიაც იღებდა მონაწილეობა.

ბას, თეიმურაზ მწიგნობარ კაცათ გვისტყვენ; ამას დაუწერია და
უთარგმნია მრავალი წიგნები, სხვათა შორის ამისაგან დაწერილმა
წიგნებმა ჩვენამდისაც მოახწიეს. მაგალითათ: 1. ზოქმა „კარდ ბულ-
ბულიანი“ თარგმანი სპარსულიდამ. თეიმურაზის სიტყვით ეს ზო-
ქმა, სპარსულათ მოლა ჭაჭიმს დაუწერია. „კარდ ბულბულიანი“
პირველად 1861 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. 1863 წ. ქართულს
ქრისტომატიასი, 1875 წ. ცალკე წიგნად, ქ. თფილისს. და დღეს
დაბეჭდილია თეიმურაზის თხუთსეულებათ პირველ წიგნში. ზოქმა «შე-
დარება, გაზაფხულის შემოდგომასთან» ეს ზოქმა პირველად „ცის-
კარში“ დაიბეჭდა და 1875 წ. ცალკე ბროშურად 3) «შამი თაჩა-
ვანინი» ზოქმა. სპარსულიდამ ნათარგნი, დამწერის სახელი არ სჩანს,
4) არს ანბანთ ქება, ეს ზოქმა 1884 წ. «მწუემსში» დაიბეჭდა. 5)
ზოქმა მუსტაფადი, ანუ ქართულად «მაჯამა», ეს ზოქმა პირველად
1859 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა, ამ ზოქმას «მაჯამა» მიტომ ჭქვიან,
რადგანაც ყოველი ტაშის ყოველი სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა
ერთი და იგივეა, მხოლოდ სხვა ნაირის ბრუნვითა და კილოს
ჭაჭრით იხმარება. ბერძნულათ ამას „ომნიმუსი“ ეწოდებაო. 6) არს
„ლეილ მიჯნურინი“ ზოქმა თარგმანი სპარსულიდამ. შერის მოწ-
მობით, ეს ზოქმა აბუ მაჭმედ ბენ უსუფ შეის ნიზამედლინს დაუწე-
რია 1180 წ. თავის სამშობლო ქალაქ გენეში. ეს აბუ შესანიშნა-
ვი ღირივი იყო, ამან დასტოვა ლექსთა კრება, სადაც რიი ათასი
ლექსი ყოფილა. აბუს სიკვდილის შემდეგ ყველა ეს ლექსები ერთად
შეუკრებიათ და ერთი სახელიც უწოდებიათ „შენდჟე-კენდჟე“ ე. ი.
სუთი სამკაული. 1, არს „მოხსენოლ-ერასი“ ე. ი. საიდუმლო
მიჯარველი 2) ისკანდერ ნამე, 3) ხოსრო და შირინი, 4) ლეილ
მედჟუნი და 5) „სეპთეპეგრი“ ე. ი. შვიდი მშვენიერი. ეს ზოქმა
ნემეტურადაც არის გადათარგმნილი ბ. გარტმანისაგა და 1807 წ.
დაბეჭდილი. 7) არს იოსები და ზილიხანის, ანუ „მშვენიერი იო-
სობიანი“ სპარსულიდგან ნათარგმნი. შერის ჩვენებით *) ეს ზოქმა
დაუწერია მეკლანე დუპის (მოკვდა 1482 წ.) ამ მეკლანემ დასწერა

*) Исторія литературы, Шерра, 1866 г. Петер.

ჰოქმა „ხამეს“ ამის პირველ ნაწილს სხვა სახელი აქვს „ტოსჭე-
 ფულ-ებრ“ ე. ი. „სახუჭარი სისწორისა“, (Подарокъ справед-
 ливости) ეს ჰოქმა არის ზნეობითი ასკეტიკური ლექსები, მეორე
 არის დიდაკტიური ჰოქმა, მისტიკურის მიმართულებით, რომელ-
 საც „სუბექსტურ-ებრ“ ჰქვია. ე. ი. (ვარდის-კონა) ამ წიგნის
 მესამე და მეოთხე ნაწილი მოგვითხრობს რამანტიულ ეპიკურ ისტო-
 რიას იოსებ და ზილიხანისას. ჰყავის წმინდა რამანტიულ მწერლათ
 ხატვენ. შერკი უარს ჰყოფს ამას. ეს ჰოქმა ნემეცურად ბ. რაზენ-
 ცკეიკრმა გადათარგმნა და დაბეჭდა 1807 წ.—8, არს რამდენიმე
 ადგილი „ილიადამ“ ჩვენამდის კერ მოახწია, 9) გლოვა დედოფ-
 ლის, 12) ტაეზია, დაუბეჭდავი. 10) არს ჰოქმა „ღვთით რომე-
 ლია“ 23, ტაეზია, დაუბეჭდავია. 11, წამება ქეთევან დედოფლისა,
 ლექსათ, დაუბეჭდავია. 12) არს „ვისრამიანის“ გალექსვა. გალექ-
 სილმა ჩვენამდისაც მოაღწია. 13) არს ჰება ლექსად წმინდა სამება-
 ზე, დაუბეჭდავია. 14) სხვა ანბანთ ჰება. 15) არს ლექსები და ან-
 ბანთ ჰება რამდენიმე. 16) ჰება და მგობა კელმწიფის მეფის ალექ-
 სანდრესი და დედოფლის ნესტან დარეჯანისა, დაუბეჭდავი. 17)
 გრემის სასახლეზე თქმული ლექსები. 18) დავით გარეჯის მონას-
 ტერში ნახულ თამარ მეფის სურათზედ ნათქვამი, დაუბეჭდავია. 19)
 «ხრონოლოგია» ქვეყნის აღწერა, გეოგრაფიულად და ისტორიუ-
 ლად, ბერძნულის და რუსულის წიგნებიდამ უთარგმნია. ამ «ხრო-
 ნოლოგია» ჩვენამდისაც მოახწია. 20) არს წერილი ლექსები და
 ანბანთ ჰებანი. ამასვე აწერენ ქართულიდამ ბერძნულს ენაზე „კეფხის
 ტყაოსნის“ გადათარგმნის, როცა თეიმურაზი კონსტანტინეპოლში
 ყოფილა და სულთანს გარდა ბერძნებთანაც დასხლავებული კავშირი
 ჰქონია. ამ ნაწერებს გარდა სხვებიც ბევრი რამ დარჩენია, მაგრამ
 ჩვენამდის ჩვენგან მოხსენებულთ ნაწარმოებთ გარდა სხვამ კერაფერმა
 მოაღწია.

თეიმურაზ მეფეს ანტონ კათალიკოზი იამბიკოს უძღვნის «წყო-
 ბილ სიტყუაობაში» და დიდათ აქებს, რომ იგი მონაზონობაში გარ-
 დაიცვალა. — თეიმურაზ პირველის ცხოვრება ლექსად აღწერა არ-
 ხილ მეფემ, რომელ აღწერაც 1853 წ. ცალკე წიგნათ გამოვიდა, ამ

პოპებს ეწოდება «ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა». მეფე თეიმურაზ პირველს ძველი ქართველი მელექსეები და მეისტორიები ერთობ დიდი მნიშვნელობას აძლევენ. თეიმურაზ მეფეს პირ მოუ-
რიდებელივ ადარებენ შოთა რუსთაველსა და პოეტურის ნიჭით და
ცოდნით გვერდს უყენებენ. მრავალმა მელექსემ დასწერა გაბასებიითი
ლექსი ჩვენს ძველს მწერლებზე და იქ შოთა რუსთაველთან თავის-
უფლათ ასაუბრა თეიმურაზი. ერთი სწერს, რომ თეიმურაზი ენა
რიტორი იყო, მეორე სწერს, რომ ბრძენი და თვითმართობისა
და მესამე სწერს, რომ შესანიშნავი მხედარი და სხვანო.

დესპოტე იოაკიმის ძე სცხოვრებდა 1650 წლებში. პირველ
ხანებში ასტალის მონასტერში სცხოვრებდა და შემდეგ შიო მღვი-
მეში გადასულა. შიო მღვიმის აღწერაში ამას არ მოიხსენებენ, სჩანს
ეს დესპოდე არსიანდრიტათ არ ყოფილა, ანუ წინამძღვრად. ეს ბე-
რი საბერძნეთშიაც ყოფილა, სცოდნია ბერძული ენა. ბერძულის
ენიდან ამას გადმოუთარგმნია წიგნი აზეცისა კაცისა და ქვეყნის
ანგელოზისა სქესითა, ერთ ცნობაში ამას ასტალის მიტროპო-
ლიტათ ასახვლებენ. მიტროპოლიტობა ბოლოს დროს უნდა მიეღო,
შიო მღვიმის მონასტერში ყოფნის დროს და შემდეგ მიტროპო-
ლიტობის ასტალას მეორედ უნდა მიქცეულყო. სხვა ამის ნაწერები
არა სჩანს-რა.

იოსებ ნასიძე სცხოვრებდა მეზიდმეტე საუფუნეში. ეს აღიზარდა
წმიდა ნინოს მონასტერში, ბერად შედგა და უგანასენელს დროს
არსიანდრიტათ აკურთხეს და წინამძღვრად აღიყვანეს ქვათა-სეკის
მონასტერში. ამან დასწერა საქართველოს მეფეთ ჯვარის წერა, ლექ-
სათ, ეს აღწერა ქვათა-სეკის მონასტერშივე ყოფილა დატული. ში-
ნაასრი პირდაპირ სამდთო საეკლესიო კანონებზე ყოფილა დათუმი-
ნებული. ამ იოსებ არსიანდრიტმა დასწერა ჯვარი ლუარსაბ მეორე
მეფეს. ამ არსიანდრიტს იოსებ თვითელიც მოიხსენებს თავის
პოემაში.

არსენ მღვდელი სცხოვრებდა 1640 წლებში. ქართული საე-
კლესიო წიგნების ჩვენებით ამ არსენ მღვდელს შეუდგენია „საგალო-
ბელნი“ ქართველ წმიდათა. ამ აღწერამ ჩვენამდის ვერ მოახწია.

პეტრე ჩხატარეიშვილი სცხოვრებდა 1688 წლებში. ეს თემით გურული იყო. აღიზარდა ქ. ტრაპიზონში, ბერძნის სასწავლებელში, სასწავლებელში ფოთნის დროსვე შედგა ბეათ და ჯერეთ ისევე ახალგაზდა უმაწვილი დაბრუნდა თავის სამშობლოში. ამ პეტრე ჩხატარეიშვილმა აღწერა ქართველ ქრისტიანეთ მდგომარეობა ქობულეთის მიდამოებში და ოსმალეთის სამოვლობელოში. ამ აღწერამ ჩვენამდისაც მოასწია. ამას მოისსენებენ ანტონ კათალიკოზი თავის «წეობილ-სიტყვაობა»-ში და იოსელიანი თავის სხოლიოში. პეტრე ჩხატარეიშვილის სხვა ნაწერებმა ჩვენამდის ვერ მოასწიეს.

მარიამ (მაკრინე) დედოფალი სცხოვრებდა მეჩვიდმეტე საუკუნეში. მარიამი იყო ირაკლი შირველის ასული. გათხოვილ იქმნა ჩოლყაშვილზე, რომდენიმე ხნის შემდეგ ქმარი მოუკვდა, ამის შემდეგ მაკრინე დედოფალი მოლოზნათ შედგა და სასულად მარიამი უწოდეს. მოლოზნობაში ამან დასწერა «საგალობელი» ამბა ალავერდელზე. ეს «საგალობელი» ქართულ «სადღესასწაულოშია» შეტანილი და დაბეჭდილი. — ალავერდის სობოროში ინახება ერთი ხელთნაწერი ხუცური «გულანი» ეს ხელთნაწერი საკუთრივ მაკრინეს ხელს ეკუთვნის. ასეა მოსხენებული. სხვა ცნობები ამის ნაწერების შესახებ ჩვენ არა ვიცით-რა, თუმცა სხვა ნაწერებსაც აკუთვნებენ.

ქეთევან დედოფალი ცნობილი მანდილოსანია საქართველოს ისტორიებში. ამის შესახებ ვრცლად სწერენ სომეხნი, ლათინნი და ბერძენნი. ქეთევანი იყო მუსტან ბატონის აშოთის ქალი და მეუღლე კასეთის მეფის ალექსანდრეს შვილის დაკითხსა. მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოს წვა, დაგვა ოსებების დროს ქეთევან დედოფალი სპასრებმა ტყვეთ იპყრეს და სპასრეთის ქლასქ შირაზში წაიყვანეს. სადაც ეწამა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ქეთევანის რომდენიმე ნაწილი სპასრეთში მეოთხ ფრანგთა პატრებმა მოიპარეს და ქეთევანის შვილს თეიმურაზ მეფეს მოუტანეს, ამ შრომის ჯილდოთ პატრებმა თეიმურაზ მეფისაგან გორში ეკლესიისთვის ადგილი მიიღეს და ფუფი, რომ კათოლიკეთ ეკლესიისა აეშენებინათ. იმ დროსვე შეუდგნენ და ააშენეს დღევანდელი გორის კათოლიკეთ ეკლესია. ქეთევანის ნაწილები გი ალავერდის ეკლესიის ტრაპეზში დაასაფლავეს. ქეთე-

გან დედოფალმა დასწერა რამდენიმე ანბანთ ქება და ერთ ანბანთ ქებაში გამოხატა თავის თავის ტყვეობა. ამის «ანბანთ ქება» 1883 «დროება»-ში დაიბეჭდა. ქართულმა ეკლესიამ ქეთევანი წმინდანებში შერაცხა და მის სასულეს დღესასწაულაობს.

ზენონ არჩიმიანდრიტი სცხოვრებდა 1680 წლებში, ეს იყო წინამძღვრად დოდოს მონასტრისა. ამან აღწერა მეზიდმეტე საეგუნიის საქართველოს ამბები, რომელ აღწერასაც დიდ გურამდლებს აზრობენ ძველი მწერლები. ეს აღწერა ვახტანგ მეფეს გაუჭვრიანა. ამა ზენონ არჩიმიანდრიტსევე ეკუთვნის აღწერა გონსტანტინე ქართველის შესახებ, ლექსად. ეს ზოგმა სულ 75 ტაეზისაგან შესდგება და დასაწყისი ასე იწყება:

«ქართლისა დიდი დიდება, მთავარი,
გონსტანტინე ვითარცა მაცხოვარი».

ბოლო ასე თავდება:

«ველირსე წმიდა მამისას, ქება ვსთქვი ჩემის ენანით,
ვინ ვმსახურებდი ქრისტესა, ზენონს მიხმობდნენ ზენა მით,
ველირსე წმიდის მამისას, ღირსადა აწ სსენებასა,
ღმერთო, გვედრი, ცოდვილი, ნუ უწყენ ჩემსა ენასა».

«ქართლისა ქვეყნის ჭირებსა, ვინ დასთვლის ვინ დასწერებსა,
ქრისტეს სჯულისთვის მხურვალთა, მუდმივ ცრემლითა სკელებსა,
აწ მე გავბედე მოკლეთა, ქება ვსთქვი დიდი მთავრისა,
ვინ უწყის რამდენჯერ იგი დაღვარა ცრემლი თვალისა».

«აღსრულდა უცხოდ ქვეყანას, გვარად მოწამე მთავარი,
და იქმნა ღვთისა წინაშე, მჯდომელი ვით ია-ვარი,
გათავდა მისი ამაგი, ვით ეძლო ჩემსა ენასა,
ანუ მამათა ჩვენთაგან, ესმინა ჩემსა ენასა».

ეს ზოგმა მე მქონდა და როცა ჩემი წიგნები მივეიდე, წერა კითხვის სამართველოს: «მაშინ ესეც იჭ გადავეცი».

ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი სცხოვრებდა 1670 წლებში, ამ ნიკოლოზ დიდათ აქებენ ძველი მწერლები. ეს აღზრდილა საქართვე-

ლოში, ყოფილა რუსეთში, საბერძნეთში, იერუსალიმს, სპარსეთში, სომხეთში, ინდოეთში, ბოლგარიაში და სხვა მრავალს მხარეებშია. სტოდნია მრავალი ენები და მწიგნობრობა. საქართველოში იგი ბერათ შესულა და მალე არსიმიანდრიტათაჲ უგურთსებიათ და მეტეხის წინამძღვრათ დაუეენებიათ. ამ არსიმიანდრიტობის დროს ნიკოლოზ ჩოლყაშვილს დაუტოკაია საქართველო და წასულა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში და იქ დასახლებულა, საიდამაჲ აღარ დაბრუნებულა თავის სიკვდილამდის. ტიმოთე მთავარეპისკოპოსი აი რასა ჭსწერს ჯვარის მონასტრის აღწერაში: — ამის გამგე ჩოლყაშვილი, რძინის შვილი, მეტეხის წინამძღვარი და ჯვარის მამა ნიკოლოზ ყოფილა, დადაიანს ამისის ხელით გაუკეთებია. ჯვარის მამა ნიკოლოზ თუ ნიკოლოზ შიგ ჭსატია და თეოდორე მანგლელიც ».

საქართველოში ყოფნის დროს ნიკოლოზ დაუტოკებია შემდეგი ნაწერები: 1) საღრამატიკო კანონები 2) შეჩვენება და დამხობა სომეხთ ეკლესიისა და 3) «ნათესაობისთვის ხარისხისა» თუ რამდენ თავობამდის » აქვს ნათესაობას კავშირი. სხვა წიგნები და ცნობები ჩვენ არა ვიცით რა. ამ ნიკოლოზ ჩოლყაშვილს ანტონ კათალიკოსიჲ მოიხსენებს «წყობილ სიტყვაობა»-ში და აქვებს დიდათ.

იოსებ მიტროპოლიტი სცხვრებდა 1600—1688 წლებში. იოსები გვარად სააკაცე იყო. იოსები გიორგი სააკაძის შვილის შვილი ყოფილა. აღიზარდა ქვათასევის მონასტერში. ქვათასევის მონასტერში საკმარისად განვითარებულა ეს. ამ იოსების შესახებ ქარლიდამ იმერეთის კათალიკოსისთვის ცნობები გარდაუციათ, რომ ქვათასევის მონასტერში ერთი ნიჭიერი და მწიგნობარი ბერი სცხვრეობსო. იმერეთის სიმეონ კათალიკოსს შეუტყვია ყველა ამბები და მცირე ხნის შემდეგ იოსები იმერეთში მიუწვევია, იოსები წასულა იმერეთში, მცირე ხნის შემდეგ ეპისკოპოსათ უგურთსებიათ და ნიკორე წმიდის ეპარხიაზე აუყვანიათ.

იმერეთში იგი დარჩა კარგა ხანს, ბოლოს ქართლში გადმოვიდა, რადგანაჲ ქართლის მეფე და კათალიკოსი სთხოვდნენ გად-

მოსკლას. იოსებ ეპისკოპოსს ქართლის მეფემ და კათალიკოსმა მიტროპოლიტობა მიუბოძეს და თფილელის კათედრაზედ აღიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ როსტომ მეფის და მის მეუღლის მარამის თხოვნით იოსებ მიტროპოლიტი სამცხე საათაბაგოში განემგზავრა, სამცხის ქართველ ბეგებთანა. საქართველოს მეფე და კათალიკოსი სთხოვდნენ ბეგებს, რომ ისევე ჩვენ შემოგვიერთდით როგორც სარწმუნოებით, ისევე გვარტომობითაჲ. იოსები დაუპეკობრდა ახალციხის ერთს ბეგთაგანს, რომელიც მას შორი ახლო ენათესავებოდა კიდევცა, მაგრამ ამ ბეგზე იოსებმა ვერა ვითარცა გაუგენა ვერ იქონია და ბოლოს იოსებიც დაითხოვა, რომ წადი ახალციხიდან, თორემ მოგკალია. იოსებ მიტროპოლიტი დაბრუნდა თფილისში. იოსელიანის ჭყნით იოსებ მიტროპოლიტს სამცხედამ დაბრუნების შემდეგ მიუღია მიტროპოლიტობა და თფილელის კათედრა.

თფილისში მეოთხე იოსებ მიტროპოლიტს დაახლოვებული კავშირი ჰქონია იმ დროის გურიის შემოქმედის მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძესთან და წერილების მიწერ მოწერა. იოსელიანი სწერს, რომ ათონის ივერიის მონასტერში ერთი იოსებ მიტროპოლიტისაგან შეწირული ტაკუვი ვახუჲ. ვერცხლის ყოფილა ეს ტაკუვი, რომელზედაც წერებულა შემდეგი:—*ამოიხსენე უფალო უნდოჲ და ცოდვილი მიტროპოლიტ იოსებ*. ჩვენ არ ვიცით, თუ ეს შეწირული იოსებმა საქართველოდამ გავგზავნა, თუ თვით იყო იქა და შესწირა. ამასე ცნობები არა სჩანს.

1664 იოსებ მიტროპოლიტი და ერთი ქართველი არსიმანდრიტი რუსეთში წავიდნენ და 1665 წელს დაესწრენ მოსკოვში მომხდარს სასულიერო კრებას. კრების შემდეგ ორივე ძალე დაბრუნებულან საქართველოში. ესენი რუსეთის სამღვდელოებს მიუწვევიან და საქართველოს სამეფოს შესავლიდამ სავგაჲო ფულიც მიუღიანთ. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ იოსებ მიტროპოლიტს და იმ ქართველ არსიმანდრიტს რუსული ენაც უნდა სცოდნიყოთ.

იოსებ მიტროპოლიტს. ქართულს მწერლობასიაც ჰქონია მონაწილეობა მიღებული. იოსებს ლექსებიც უწერია, რაისა გამო ცოტა არ იყოს ანტონ კათალიკოსი ემდურება თავის წყობილ სიტ-

ყვარბა-ში, რომ იოსებ მიტროპოლიტი თავის შესაფერხს საქმეს არ აკეთებდა. რაც იმას არ ეკადრებოდა, იმას კადრულობდა. იამბიკოში მოკვითსრობს, რომ იოსებ მიტროპოლიტი ყველას საყვარელი პირი იყო, როგორც მეფის, ისევე ერისათ. ხი როგორ გამოსატყვევს ანტონ კათალიკოსი იოსებ მიტროპოლიტს.

იოსებ თუმიცა დაშვრა ამოთათვის,
ვითარმედ ესე, არა თან ედვა მას,
მაგრამ გონება, მის ქვე მდებარებდა,
თავის უფალთა, ცნობით რომლითაცა,
სთქმიდა მშენიერ, საქებულ შეწყობათა.

იოსებ სხად ღა, გამოცდილ იყო სრულად,
პიტიკოსთა კელოგნებითა მიმართ,
საყვარელი იყო, მეფეთა მამინდელთა,
საყვარელ იყო, ერთაცა ყოველთაგან,
აქებდენ მისსა სიბრძნეს მოყვარობასა.

იოსებ მიტროპოლიტმა თავის მიტროპოლიტობის დროს სიონის მასლობლივ საეკლესიო სკოლაც დააარსა, რომელ სკოლასაც შემდეგ კათალიკოსის სკოლა უწოდეს. ამ იოსებ მიტროპოლიტმავე შეაგროვა დიდი ძალი ქართული წიგნები და დასტოვა მკვიდრად სიონის ეკლესიაში. იოსების გარდაცვალებას იოსელიანი 1685 წ. აწერს. მაგრამ სიონის გუჯრებიდამ სჩანს, რომ იოსებ 1685 წ. ცოცხალი უფოიდა, რადგანაც ამ დროს იოსები ერთ გუჯარს ხელს აწერს და ამტკიცებს ჩვენის ფიქრით ამის გარდაცვალება 1690 წ. უნდა ეგოთნოდეს, რადგანაც 1668 და 1669 წლებშიაც სჩანს ამის ხელ მოწერილი გუჯრები.

იოსებ მიტროპოლიტს ქართლის მეფის თხოვნით დაუწერია გიორგი მოურავის ცხოვრება, ლექსად, რომელსაც «დიდი მოურავიანი» უწოდა. მეფისაგან ბძანებას «მოურავიანის» პირველი სტრიქონივე მოქმობს. ეს პოემა 1851 წ. ცალკე წიგნათაც დაიბეჭდა. პოემა და ერთლია თექსეტ მარტლოვანი ლექსით და გასაგები ენით.

2) არს ლექსი ივკად დაწერილი და შემოქმედის მიტროპო-

ლიტვან მიწერილი. ეს პატარა ივანი ჩაბუჭდილია იოსებ მიტროპო-
ლიტისავე «დიდ მოურავიანის» ბოლოში. 3) არს მისი მოგზაუ-
რობა, თფილისიდან სსალციხისკენ. ამში აღწერილი ყოფილა სამ-
ცხე სათაბაგოში მყოფი ქართველთა გამაჰმადიანებულთა ამბები, იქაურთ
დაქცეულთ ეკლესიებისა, მონასტრებისა. საიდუმლო ქრისტიანეთა
და მრავალთა სსკანის. ამ აღწერაში იოსები დიდად ჭკიცხავს მაჰმა-
დიანთ მათის უხეირო სარწმუნოების და ზნე ჩუეულების გამო. ამ
თხუზულებამ ჩვენამდის ვერ მოასწია. 4) არს ლუარსაბ მეფის ცსოკ-
რების აღწერა. ამ აღწერას იოსელიანიც მოახსენებს თავის ისტო-
რიულს წერილებში. ცხადია, რომ ამ აღწერას ვახტანგ მეექვსე
«ქართლის ცსოკრება»-ში შეიტანდა. 5) არს «სასურველი ვენახი».
ამ წიგნის შესახებ, ამ ბოლოს დროს შევიტყუე. იოსებ მიტროპო-
ლიტს დასსლოკებული ნათესავობა და ვაკშირი ჭქონია გიორგი
მოურავთან. იოსებს კარგათ სცნობია გიორგი მოურავი და გიორ-
გი მოურავის ყველა მეგობრები და შტრები. ქართლის მეფეს ამი-
ტომ მიუწდვია იოსებ მიტროპოლიტისთვის, რომ სსაკაძის ცსოკ-
რება აწერა. მიტროპოლიტმა მეფის ბრძანება აღასრულა. გიორგის
ცსოკრება ლექსად აღწერა და აღწერის უკანასკნელს ლექსებში ორა-
სტრიქონით მგაფიოთ გამოხატა გიორგის გულის და სულის ჭმუ-
ნვარებანი. მაგალითად:

თავო ჩემო, კით გასულო, სეკდიანო, როგორ წუღულო,
საქართველოს სჯულისათვის ათას იერად წამებულო!

დღეს, ამ დაბუჭდილის „მოურავიანის“ შოვნა აღარ არის.

იაკობ შემოქმედელი სცსოკრება 1646—1694 წლებში.

იაკობი დაიბადა გურიაში, ვკარათ ღუმბაძე იყო. თავადის შვილი.
იაკობი აღიარდა ტრავნიზონის მართლმადიდებულთ სემენარიაში.
ამ სასწავლებლის კამეჩნი ბერძენი იყვნენ. იაკობ ღუმბაძემ აქ შეის-
წავლა სამღვთო საგნები, ბერძული ენა, სწავლის კათაკების შემდეგ
იაკობ ღუმბაძე თავის სამშობლო გურიაში დაბრუნდა. დაბრუნების
შემდეგ ეს ბერათ შემდგარა, ეკლემოს იმერთ მეორე კათალიკოსის
კამეგობის უამს. მცირე ხნის შემდეგ კარდაიცვალა ეკლემონ კათა-
ლიკოსი და კათალიკოსათ იქმნა დავითი. იმავე დავით კათალიკოსმა

აგრეთს იაკობ დუმბაძე ეპისკოპოსათ და აღიუყანა შემოქმედის ეპარხიაზე, მცირე ხნის შემდეგ იაკობ შემოქმედის მიტროპოლიტობაც მისცეს. ზოგთ ჭყობით მიტროპოლიტობა 1682 წ. უნდა მიეღო. 1686 წ. იმერეთის კათალიკოსის ნება რთვით და აგრეთ-სეგვით იაკობ მიტროპოლიტი გაემგზავრა რომს და ნახა დასავლეთის ეკკლესიები. რომში დიდის პატივით მიიღო ინოკენტი რომის პაპი. დიდი პატივი მიაპყრეს აგრეთვე პაპის კარდინალებმა, დიდი ძალი საჩუქრები მისცეს. პაპი და კარდინალებმა დიდი დაკლება დასდეს იაკობს და იგინი სთხოვდნენ, რომ იაკობ დუმბაძეს კათოლიკის საწმინტოება მიეღო და გურიაშიაც წამოეყანა რამდენიმე ლათინთ პატრები, რომელნიც აქ მოჭებდნენ მათ საწმინტოებას. იაკობმა პაპის თხოვნა მიიღო და როცა საქართველოში წამოვიდა, მან თან წამოიღო ყველა საჩუქრები პაპისა და კარდინალებისაგან, როგორც იმერეთის მეფესთან, ისევე იმერთ დავით კათალიკოსთან, თან წამოიყვანა აგრეთვე რამდენიმე ლათინთ მოძღვარნი. საქართველოში მოსვლის შემდეგ პაპის და კარდინალებისაგან გამოტანებული საჩუქრები მეფესა და კათალიკოსს გაქდასცა. ლათინთ საწმინტოებას კი გაუდგა იაკობი და ლათინთ მოძღვარნიც მოიშორა თავიდან, ლათინთ მოძღვრებმა დაიწყეს ქადაგება და სწავლა ოსმალეთის მიფლობელობის ქვეშ მყოფ ქართველ მკვიდრანებში და მცირე ხნის განმავლობაში დიდი გავლენაც იქონიეს იქაურ ხალხზე და დიდი რიცხვიც შესძინეს რომის ეკკლესიას, მაგრამ იაკობ დუმბაძე აუტყდათ მრისხანებით და ეს თავ-გადადებული მამანიც დაახოცნინა სხვა და სხვა საიდუმლო კაცი მკვლელებთა. ამ უბედურებამ დიდი განსეტოქლება ასტეხა მამინდელს სამღვდელთაში და მრავალნი პატრნი დიდის შიშით და წვალებით იქმნენ გადაჩენილნი. იმერეთისა და გურჯიის სამზღვრიდამ ესენი სტამბოლს წავიდნენ.

სიბერის ღრმს იაკობ დუმბაძე გაემგზავრა ათონის მთის ივერის მონასტერში, იქ ღარჩა რამდენიმე ხანს, ბოლოს განემგზავრა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში და დასასლდა სამუდამით, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ამის გარდაცვალების რიცხვი მკვიდრებზე საუკუნის ბოლოს წლებს მიეწერება. ასე 1698 წლებში: — ამ იაკობ

დუმამეს ანტონ კათალიკოზიც მოისვენებს თავის წყობილ სიტყვა-
 ბაში» და იამბიკოს მიუძღვნის. იაკობ შემოქმედელს ქართულს მწერ-
 ლობაშიაც ჭქონია მონაწილეობა მიღებული. გიორგი მეფის თხოვნით
 იაკობმა დასწერა «მსჭმადიანთ დარღვევა». ეს დარღვევა დაწერილია
 ლექსათ, თექვსმეტ მარცღოვანის მარცვლით. შეიცავს 60 გვერდამ-
 დის, თაბისი მეოთხედის ნაწილზედ დაწერილს. ლექსის ენა სსსაღ-
 ხოა. დამწერს ჭაზრათ ისა ჭქონია, რომ მისი წიგნი სსსაღხო სს-
 კითხვათ გამსდარჩიოს და ქრისტიანებს მეტი ზიზღი და ჯავრი
 ჭქონიოთ მსჭმადიანებისა. ამ დარღვევის დასაწყისი შემდეგის სიტ-
 ყვებით იწყება: — „თავი დასაწყისი უსჯულოს მაჰმადისა და ქრის-
 ტიანების გაბაასებისა, ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან, ბრძა-
 ნებით მეფის გიორგის ძის მეფის შაჰ-ნაოზისათა». დასაწყისი ასე
 იწყება.

«სოლომონ თქვა»: — სიბრძნის შირველ-დასახამი შიში ღვთისა,
 სამ გვაზოვნის ღვთაებისა, შემოქმედის მის ერთისა,
 ვისგან ძრწიან სურბიბინი, შირთა აქვთ ფარვა ფრთისა,
 და თიხის წუთნი ბაგე დავსუნ, ვერ მკადრეობს ქებათ თრთისა.
 ცხრა დას გუნდნი ანგელოზნი, მზე, მთვარეცა ვარსკვლავები,
 ქვეყნად ვაგნი, ზღვა უფსკრული, მთა, ბორც უძრავ-მომრავები,
 მსეტ-ნიაგნი, თევზ-ფრინველნი, რაც არს ხილულ უხილვები,
 და ვერვინა სცნობს ღვთის არსებას, მისთვის ვინც ბრძნობთ აბა
 სცანითა».

შესავალში იაკობი რუსთაველსაც ახსენებს და ამას ქართულთ
 მელექსეთ თავ მჯდომარეთ აღიარებს. ამის გვერდით თეიმურაზ
 შირველს აყენებს. თავის თავსაც საქართველოს მელექსეებში რეეს,
 მაგრამ კრძალვით და კრძალვის შემდეგ ეს სიტყვები მოჭყავს:

ვრიტორებ სიბრძნეს ებგური, შემოქმედელი იაკობ,
 მიცნობენ სამღთოდ გარეშედ, ვნარნარობ, ტებილად ვმუსიკობ,
 ბრძენთ სიტყვას კარგათ მოვისმენ, არ დავემობ, თვით მე შეუძობ,
 და ქრისტესთვის ვერძ სავალად მზად ვართ მათსედ ვი აკობოთა».

ამის შემდეგ „ეოზანის“ დარღვევას შეუდგება და მოჭყავს შემ-
 დეგი სიტყვები:

«კინცა მოკლას ქრისტიანე, ანუ მათგან თვით მოიკლას, ორითავე მიზეზითა, მადლი მქონდესთ, ჭსცხონდეთ ტებილათ, ესე მცნება დაუჯერეს, მის უამიდგან იწყეს ბრძოლა, და საღმობისა მუცლად ღება, უსჯულობის იყო მშობლათ».

ამის შემდეგ სწერს, რომ ქრისტეს მოსვლის შემდეგ წინა დაცვეთა მრავალ საღსში მოისპოვა, მაგრამ მაცმადიანებში ვი ისევ დარჩა. ერთ ტავში განმარტავს, რომ თათრებს ერთი წიგნი «აიაზმის» მეტი სხვა არა აქვსო რაო, სიდაც ისმიატელთ საღსის ამბები საერთო იქმნეს აწერილიო. ქართულებს ვი ბეკრი გვაქსო და აქ სასხელებს მოსე სონელის წიგნს.

„საერო წიგნათ ივითხვენ „დარღვანიანს“ უწოდენ, მსნე ძლიერად, ახოვანად, მათ ცხოვრებას ის მოგვითხრობს, ზღაპრის მტეიცე საჯეროსა, მეტუვის ასრე ენა მშკერობს.

ერთ ალაგას მღვთის მშობელს შემდეგ ტავსს მიუძღვნის:

„ხარ სახინოდ ჭკუენის მნათნი, სახელ დიდი ღვთის მშობელი, მისის შარვანდი, სხივ მერთოლვარე, ხარდი, კარდი უჭკნობელი, მტრედ, გვრიტ, მერცხალ, იადონი, საფირონ ტებილ უსმობელი, და ცად გვირგვინი, სახლი მღვთისა, ცოდვის ზღვათა გამსმობილი“.

ამ „დარღვევაში“ ბეკრი ხელაგნური ადგილებია. ამ წიგნის ერთი ხელთნაწერი მე მაცქნდა, მაგრამ დღეს ის ჩემს ხელაში აღარ არის. ამჟე იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის ზასუხათ მიწერილი ლექსი იოსებ ტფილეულთან, რომელიც „მოურავიანის ბოლოშია დაბეჭდილი. უნდა შევნიშნოთ, რომ „მაცმადიანთ დარღვევა“ მარტო მაცმადიანთ არ შეეხება, ამაში სომხებსე და ფრანგებსედაც არის სუბარი და მათაც ეკამათება, რომ მართლმადიდებელი ეკლესიას და სჯული ეკლასე მადლა სდგასო. ამ ნაწერებს გარდა იაკობ შემოქმედელის ჩვენ სხვა არა ვიცით რა. იაკობ დუმბაქს ქართული ცალობის მცოდნე პირათაც სასხელებენ.

ზაქარია კათალიკოზი სცხორებდა 1670 წლებში. ამან დასწერა „მოთხრობა საქართველოსი“ რომელშიაც აღწერილი ყოფილასაქართველოს საეკლესიო და სამეფო ისტორიის ცნობები. ზაქარია იყო მცოდნე სომხურს და სპარსულის ენისა. ამას დიდი კავ

შირი ჭქონია სომეხთ მცოდნე მღვდელ მთავრებთან.

დალუნა ქვარიანი სცხოვრებდა 1640 წელში. ეს იყო თემით იმერი, ჩაჭველი, ამის მშობლები რაჭიდან ქართლში გადმოსულან და თფილისში დასახლებულან. დათუნა ჭვარიანს სცოდნია ლექსების წერა, ეს მიმზადავი ყოფილან შოთა რუსთველის მსგავსი ლექსების წერისა და მთელი თვისი სიცოცხლის მელექსეობის შრომა მსოფლოდ მასვე დაუღამებია, რომ მასაც შესძლებიყო დაეწერა რამე რუსთველის „კეთის ტყაონისთანა“. მაგრამ ეს მას ვერ მოხერხებია.

ბააკ დვალიძე სცხოვრებდა 1635 წლებში. დვალიძე, ანუ დვალისძე თემით გურული იყო, ქართლში გადმოსახლებულა და ბოლოს თფილისში დასახლებულა. ბააკას ლექსების წერა სცოდნია და მოძეტებული ნაწილი სუ სასაღსო ლექსები უწერია. ამას აუთუენებენ, ცხენის ლექსის დაწერას. ამ ლექსმა ჩვენამდის ვერ მოაღწია.

მელიქსედე ბერი სცხოვრებდა 1656 წლებში. ამან იცოდა სომხური ენა და მწერლობა, იყო სამთო მწიგნობარი. ამან დასწერა ქართულს ენაზე წიგნი სომეხთ ეკლესიის წინააღმდეგ, რომელსაც სახელათ „სამგვამოვნებითი ბუნება“ უწოდან, ამ თხზულებამ მეთვრამეტე საუკუნემდის მოასწია. ამ ბერის სასულს ანტონ კათალიკოზიც მოიხსენებს თვის „მზა-მეტყველება“-ში ანტონი ღმრად ღვთისნიერ კაცათ სასხელებს ამ ბერს.

სევასტო ბერი სცხოვრებდა 1660 წლებში. ეს სცხოვრებდა დავით გარეჯის მონასტერში. ამან დაწესწერა წიგნი, რომელშიაც აწერილი იყო თამარის შემდეგი დროის ქართულთ მთარგმნელთ მამათ ამბავნი. ეს წიგნი ძველათ დავით გარეჯის მონასტრის „წიგნთ საცავში“ ყოფილან დაცული. დღეს ადარსად სჩანს.

არსენ არხიმანდრიტი სცხოვრებდა 1670 წლებში. ეს იყო დიდად მცოდნე ქართულის ენისა, მწერლობისა და ისტორიისა. იცოდა აგრეთვე სომხური ენა და მწერლობა. ბერძნული და ლათინური ენებიც სცოდნია. არხიმანდრიტათ ჯერეთ ნათლის მცემელში ყოფილან და შემდეგ დავით გარეჯისა. ამას დაუწერია სიტყვის გება სომეხთ ეკლესიის წინააღმდეგ, ამასვე შეუდგენია გრცელი მასალები ქართული სასულიერო მწერლობის და ეკლესიისა, რომლის

რამდენიმე ფურცლებმა ჩვენამდისაც მოასწია, აქედამ ბეჭეტი ისარგებლეს. ამ ბეჭისაგან დატოვებული ხელთნაწერი წიგნი 1876 წ. იანმუჟასზე მეწერილობებს ჩავარდნიეთ და ქალაქდამთ ეხიათ.

ზებელე ხუცესი სტოკოვობდა 1670 წლებში. ამ ზებელეს ანტონ კათალიკოზიც მოიხსენებს. „მზა-მეტყველებასში“-ში. ზებელე სტოკოვობდა ჯერეთ ქათასკეის მონასტერში და შემდეგ დავით გარესჯას გადავიდა. იცოდა სომხური ენა, მწერლობა და სხვანი. ამან დასწერა „დარღვევა სომეხთ ეკკლესიისა“ წაინტ დიდი შოფოთები ასტეხა იმ დროის ქართველთა და სომეხთ სასულიერო პირებში. ამ ზებელე ხუცესისაგან გადაწერილი ვრცელი სახარება ალავერდის სობორში ინახება.

მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწერილი წიგნები.

„ჩარ-დავრიშიანი“ ამ ზღაპრულ მოთხრობას დღეს „დავრიშიანს“ უწოდებენ. ამის თარგმნა სპარსულის ენიდამ მიეწერება მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს. მთარგმნელის სახელი არა სჩანს. ზოგნი ამის თარგმანს ვასტანგ მეფის დროს აწერენ.

«მირიანის» თარგმნა მიეწერება მეჩვიდმეტე საუკუნის დამლექს. შე საცადა წამიკითხავს იმის შესახებ, რომ „მირიანი“ ვასტანგ მეფის ბრძანებით თარგმნეს. „მირიანი“ ზღაპრული მოთხრობა არის, ეს ისე არ გავრცელებულა საქართველოს ხალხში, როგორც „დავრიშიანი“ და სხვა ამ გვარი ზღაპრული მოთხრობები.

წმინდა ნინოს ცხოვრება შეუდგენია ერთ ვილცა კასელ მღვდელს, მდაბიურის ენით. სუტურათ ნაწერი წმ. ნინოს მონასტერში ყოფილა დაცული. 1825 წ.

კახეთის სამეფოს აღწერა შეუდგენია ალავერდის ერთ ბერთაგანს. ამ აღწერაში ყოფილა შეტანილი ალექსანდრე მეფის ამბები, მისის შვილის დავითის გამეფება, სიკვდილი და ცოლის შერთვა, შაჰაბასის შემოსევა, საქართველოს აოხრება, ქართველების აყრა, რუსთავის ეპისკოპოსის და ალექსანდრე მეფის მოკვლა გაჭმამადიანების გონსტანტინესაგან, ქეთევან დედოფლის სპარსეთში წაყვან-

სა და ტანჯვით სიკვდილი. შეიძლება არც სასულიერო და არც გვარის. უკვლავ ეს ამბები ერთად აღწერილი კი არსად გვხვდება და ცალკე ცალკე კი მრავალია.

„კარაბადინი“ ახლად ნათარგმნი, სპარსულიდან, ლეონ ირანთ მსახურის ბრძანებით. მოხსენებულა ერთ საეპიშოპო ვიგნიში. ეარსკველათა და სხვათა მნათობთა ცნობა, კარსკვლავთ მრინცხველური ვიგნი გადმოეთარგმნია სპარსულიდან. ლეონ მეფის დროს. კარსკვლავთ მრინცხველობის შესახებ ქართულ ენაზე ბევრია ვიგნები, მაგრამ არც ერთსად არ იხსენებენ, თუ ვინ თარგმნა, ან ვინ შეადგინა, ეს თარგმანი კრძელი ტომი ყოფილა და საქართველოს სამეფო ოჯახში დაცული.

„მაჰმადიანთ ყორანი“ გადმოთარგმნილი ახლად, სპარსეთში მყოფ ქართველ მაჰმადიანთ ბატონიშვილებისაგან. ამანუ ბატონიშვილებმა ქართულიდან სახარება გადასთარგმნეს სპარსულს ენაზე. ამათკე ეგუთნის „ყორანის“ გავრცელება ქართულს ენაზე, რადგანაც პირველად ამით შესცავლეს თათრულს ასოებზე ქართული ასოები და თათრულ სიტყვებს ქართული ასოებით სწერდნენ. თარგმანი რუსტომ მეფის დროს მიეწერება. ამებს ცხადათ მოწმობენ იმ დროის ქართველნი მამანი.

ქართულ-ლათინურ ლექსიკონი დაიბეჭდა რომს 1629 წ. ლექსიკონი შეიცავს მრავალთ მტრნარეთა სახელებს. სასაუბრო საჭირო სიტყვებს და სხვათა. ეს ლექსიკონი შეუდგენიათ საქართველოში მყოფ ლათინთ ჰატრ ჰაულისს, რადგანაც მათთვის ამ გვარი ვიგნი დიდ საჭიროებას შეადგენდა, მით უფრო რომ ისინი ეპიშოპოსაც შერებოდნენ და მრავალი წამლების სახელები კი არ იცოდნენ. ეს ლექსიკონი მოხსენებულა მრავალს ქართულს და რუსულს საისტორიო ვიგნებში.

კარაბადინი თარგმანი ლათინურიდან, თარგმანი მიეწერებათ იმ დროის ლათინთ მოძღვრებს. ამის ეგზემპლარებს ახალციხის ქართველებში მოკავრებთ. ერთი ეგზემპლარი მეტ ვანსე 1881 წ. სამცხეში.

მოურავის ცხოვრება აღწერილია თანამედროვე პირის, აღწერაში

დაწერილებით ყოფილა ჩამოთვლილი, თუ მოუწავსა როდის რა გააკეთა, როგორ უძირდა საქართველოს და ბალოს ამ მტერობის სამგებროთ რა სასჯელივე მიიღო მან ღვთისაგანა.

საგალობელი ნიშანი, შედგენილი ახლად, რადგანაც გალობა ისე აღარ იყო საქართველოში, როგორც ძველათ ჭკალობდენ. ნამეტურ მთის ხალხში. ამ წიგნებმა ჩვენამდისაც მოახწიეს. ზოგი ძველათაც არის შედგენილი, ზოგი შემდგომად. ამ გვარი წიგნის ერთი ეგ. დღეს დ. ბაქრაძეს აქვს.

როსტომ მეფის ქება, ლექსად დაუწერია ამის თანამედროვე პირს. ეს ქება ჩვენ გი არ გვინახავს, მაგრამ ძველ კატალოგშია მოხსენებული, რომ როსტომ მეფის ქება სტისათ დაწერილი თანამედროვე პირისაგან.

ისტორია მცხეთის ეკლესიისა, ამში აწერილია წმინდა ნინოს ცხოვრება, იოანე ზედაძევისა, დავით გარეჯელისა და შიომღვიმელის. დაწერილია განთეში ალავერდის წინამძღვრისაგან, ვინ იყოს ეს წინამძღვარი და სასელი ამისი, ეს არა სჩანს.

ძველი ისტორია ასირიის, ბაბილონის, ნინევის და ეგვიპტის. მოხსენებულია მრავალს ძველს კატალოგებში.

წესდება მეფისა გარის მოხელეთა, შედგენილია მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს.

საქართველოს აღწერა შეუდგენიათ ირაკლი ნაზარალი სანის მეფობის დროს, ამავე მეფის ბრძანებით*). ეს ხელთნაწერი და ერთივე სომხურს ენაზე დაწერილი საქართველოს ისტორია იოსელიანს უბოვნია.

სამცხე საათაბაგოს აღწერა, თუ რამდელთა როგორ დაიპყრეს იმერეთი, სამცხე და ახალციხე. დაწერის ვინაობა არა სჩანს.

1879 წ.

ამ წიგნებით გათავდა ჩემი ძველი მწერლობის ცნობების ბეჭდვის საქმე.

*) Жур. Мин. Народ. Просв. 1842 г.

894.63.09

♣ 551

සුඛයා ජාතික සංස්ථා.